03/04/2025

MES 3 25 0000371848

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 26 მარტს 14:00 საათზე.** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=86280918948
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნათია ბუთხუზი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი / საბჭოს მდივანი;
გიორგი ვეკუა - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ხათუნა ცერცვაძე - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი;
ანა არუშიძე - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი / საბჭოს წევრი;
ეკატერინე გიგაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
გოჩა გოგიტიძე - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი / საბჭოს წევრი;

გოგიტა მშვენიერაძე - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი / საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- ლევან მადათოვი
- ზაალ ხელაძე

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

დავით წასიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ნესტან ინასარიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი პროფესიული განათლების მიმართულებით, პროფესიული პროგრამის კოორდინატორი.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:00 საათი.

ქალბატონი ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული

შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების/ჩარჩო დოკუმენტების/ ინტეგრირებული მოდულების განახლების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მიერ ავტორიზებული პროგრამების შესაბამისობის მოყვანისა და საბჭოს გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

2. ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "ენერგომენეჯმენტი" ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

3. ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი" ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების/ჩარჩო დოკუმენტების/ ინტეგრირებული მოდულების განახლების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მიერ ავტორიზებული პროგრამების შესაბამისობაში მოყვანისა და საბჭოს გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

- **დაიხ**

თვითაცილების თაობაზე განაცხადეს ხათუნა ჩხარტიშვილმა, ნათია ბუთხუზმა და გოგიტა მშვენიერაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პირველ საკითხად განიხილება 20 დაწესებულების პროგრამებში ცვლილებების შეტანა, ეს არ იყო ისეთი ადმინისტრაციული წარმოება, რომლის ფარგლებში შეიძლება აცილების საკითხი დაისვას, ამდენად, თავმჯდომარეს არ მიაჩნია მიზანშეწონილად, განხილულ იქნას საბჭოს წევრების თვითაცილების საკითხი.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა, მისი განცხადებით, "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ასევე „პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 23 აგვისტოს №80/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის საფუძველზე, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს ინიცირებით, სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან ერთად დარეგისტრირდა "ტვირთების ექსპედირების", "კომპიუტერული ქსელისა და სისტემების", "სარესტორნო მომსახურების", "სასტუმროს მომსახურების", "სატყეო საქმის", "შედუღების", "ვიდეომონტაჟის", "ვიდეო-საოპერატორო ხელოვნების", "ტელეეთერის დიზაინის", "ტელერეჟისურის" და "ფოტოგრაფიის" პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტები. ამან, თავის მხრივ, გამოიწვია დაწესებულებების მიერ ავტორიზებულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანისა და ავტორიზაციის საბჭოების გადაწყვეტილებებში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა.

ამასთან, "საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებაში შეტანილი ცვლილების საფუძველზე (ბრძანება №95/ნ 2024 წლის 7 ივნისი), დაწესებულებებმა, რომლებიც ახორციელებენ ინტეგრირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამებიც მოიყვანეს შესაბამისობაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 53-ე მუხლის საფუძველზე, ოცმა დაწესებულებამ, რომლებიც ახორციელებენ განახლებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების/ჩარჩო დოკუმენტების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებს, უზრუნველყო მათი შესაბამისობა ზემოთ მითითებულ ცვლილებებთან და მოახდინა ცენტრის ინფორმირება აღნიშნულის შესახებ. დაწესებულებებმა წარმოადგინეს მოდიფიცირებული პროგრამები (სულ 48 პროგრამა), რომლებსაც თან ახლდა პროგრამაში ცვლილების თაობაზე ბრძანებები, სადაც მითითებული იყო პროფესიულ სტუდენტებზე, განახლებული პროგრამის გავრცელების სქემები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ცენტრში წარმოადგინეს შესწავლილი საკითხების შესახებ ანგარიში პროგრამების განახლებული პარამეტრების ამსახველ დანართთან ერთად.

სამსახურმა, ერთ ცხრილში თავი მოუყარა ყველა წარმოდგენილ შუამდგომლობას და ერთიან ბაზაში ასახა პროგრამების პარამეტრები, აღნიშნულ ცვლილებებზე საბჭოს მიერ ერთიანი გადაწყვეტილების მისაღებად. ცხრილის პარამეტრები შეთანხმდა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან, რადგან აღნიშნული გადაწყვეტილება დანართთან ერთად განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას უნდა მიეწოდოს 11 აპრილამდე, რათა დაწესებულებებმა 14-17 აპრილის პერიოდში საგაზაფხულო მიღების ანკეტა-კითხვარში პროგრამები ასახონ ახალი პარამეტრებით.

ასევე, თითოეულ დაწესებულებას აღნიშნული ცხრილი დაეგზავნა და ყველა მათგანისგან სამსახურს აქვს დადასტურება და თანხმობა პარამეტრების სიზუსტის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების/ჩარჩო დოკუმენტების/ ინტეგრირებული მოდულების განახლების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მიერ ავტორიზებული პროგრამების შესაბამისობაში მოყვანისა და საბჭოს გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანისშესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, „პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 23 აგვისტოს №80/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის საფუძველზე ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს ინიცირებით რეგისტრირებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების, "საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებაში შეტანილი ცვლილების (ბრძანება №95/ნ 2024 წლის 7 ივნისი) საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობების, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ, ქვემოთ ჩამოთვლილი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პარამეტრებში, შევიდეს ცვლილებები დანართში მითითებულ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში და პროგრამების პარამეტრები ჩამოყალიბდეს დანართში მოცემული პარამეტრების შესაბამისად:

1. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA
2. სსიპ კოლეჯი "იბერია"
3. სსიპ კოლეჯი "თეთნულდი"
4. შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმი
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი
6. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
7. სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი
8. სსიპ კოლეჯი "ახალი ტალღა"
9. სსიპ კოლეჯი "სპექტრი
10. სსიპ კოლეჯი "მერმისი
11. სსიპ კოლეჯი "ოპიზარი"
12. სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“
13. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი ,,კონსტრუქტ2"
14. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი
15. სსიპ კასპის კოლეჯი

16. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი
17. სსიპ კოლეჯი ,,აისი"
18. სსიპ კოლეჯი "ფაზისი"
19. ა(ა)იპ კოლეჯი "ჰორიზონტი"
20. ა(ა)იპ კოლეჯი "იკაროსი" **(დანართი 1).**

მეორე საკითხი: ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "ენერგომენეჯმენტი" ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

- **დიახ**

თვითაცილების თაობაზე განაცხადა საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაშვილმა. მისი თქმით, აღნიშნულ დაწესებულებაში მან ჩაატარა ტრენინგი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მეორე საკითხზე დაფიქსირებული საბჭოს წევრის პოზიცია არ არის თვითაცილების საფუძველი, რადგან მის ხელთ არსებული ინფორმაციით საბჭოს წევრს ზემოაღნიშნული ჩატარებული ტრენინგებისთვის დაწესებულებისგან ანაზღაურება არ მიუღია. ამდენად, თავმჯდომარეს არ მიაჩნია მიზანშეწონილად, განხილულ იქნას საბჭოს წევრის თვითაცილების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლევან მადათოვი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 17 იანვრის №22963 ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 5 თებერვალს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №22ა) „ენერგომენეჯმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების „ბ.ბ“ და „ბ.დ“ კომპონენტების, აგრეთვე „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების „ე.ა“ და „ე.ბ“ კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და პროფესიულ სტუდენტებთან. შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წინასწარ და ვიზიტის პერიოდში მოწოდებული ინფორმაცია. ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 26 აგვისტოს №1015169 გადაწყვეტილებით მიენიჭა „ენერგომენეჯმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 96 სტუდენტით, მისამართზე ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №101.

მიმდინარე წარმოება ეხებოდა პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილებას, პროგრამა ხორციელდება მისამართზე ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №22ა.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება
შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსი
ექსპერტის განცხადებით, ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს 2034 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით სარგებლობში გადაეცა აღნიშნულ მისამართზე არსებული ფართობი: 5130.00 კვ. მ., შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1, N2. შენობა-ნაგებობის ფართი 5098.72. აღნიშნული ფართის მეორე სართულზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილია A გარემო-1 , AC გარემო - 1 (№201), B გარემო-1 (№207). გარდა ამისა ფართში ასევე განლაგებულია ფოიეები, სტუდენტთა მოსასვენებელი/სარეკრეაციო/სამუშაო სივრცეები, სანიტარული კვანძები (მათ შორის ადაპტირებული), პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი, ბიბლიოთეკა, შეხვედრების ოთახები, ადმინისტრაციული სივრცეები, არქივი. შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით, ხელოვნური და ბუნებრივი განათებით, სველი წერტილებით, პანდუსებით, ლიფტით, უწყვეტი ინტერნეტით. სასწავლო აუდიტორიები და ზემოაღნიშნული ფართები აღჭურვილია საჭირო ავეჯით, მატერიალურ - ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს მათ დანიშნულების შესაბამის ფუნქციონირებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სასაქონლო ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტები, საგადასახდო დავალებები, ინვენტარიზაციის აქტი. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის დოკუმენტში დაწესებულების მიერ გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა მიერ მატერიალური რესურსებით სარგებლობის უფლებისა და წესების შესახებ.

დაწესებულებას შინაგანაწესის შესაბამისად გაწერილი აქვს, რომ „უნივერსიტეტი საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, თავისი მატერიალურ ტექნიკური რესურსის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, თავის საკუთრებაში არსებულ ტექნიკურ ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის დებულების (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2018 წლის 27 მარტის № 01-18/052 ბრძანებით) თანახმად ლოგისტიკისა და უსაფრთხოების დეპარტამენტის ერთ-ერთი ამოცანაა უნივერსიტეტის შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავების უზრუნველყოფა და უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას დამტკიცებული აქვს "შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა" და ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შესაბამისი კომპეტენციის მქონე სერტიფიცირებულ უსაფრთხოების 2 სპეციალისტთან, რომლებიც უზრუნველყოფენ ინსტიტუტის ტერიტორიაზე შრომის უსაფრთხოების დაცვას. აღნიშნული პოლიტიკა ეფუძნება დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე პრინციპებს და ორიენტირებულია რისკების შეფასების, რეაგირებისა და მონიტორინგის მექანიზმების განვითარებაზე. შინაგანაწესის დოკუმენტში გაწერილია მატერიალური რესურსის განკარგვისა და წარმოქმნილი ნარჩენების მართვის წესები. მუხლი 5. მატერიალური რესურსით/მასალებით უზრუნველყოფის წესის თანახმად „კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შეძენა ხორციელდება, ამავე საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელისადმი/კანცლერისადმი წარდგენილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. დაწესებულებაში არსებულ სასწავლო და ადმინისტრაციულ სივრცეებს, ბიბლიოთეკას, შეხვედრების ოთახებსა და საგამოცდო სივრცეებს აქვს, როგორც ბუნებრივი ასევე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. ასევე დაწესებულებას გამიჯნული და იზოლირებული აქვს ადმინისტრაციული, სასწავლო, სამუშაო, რეკრეაციული სივრცეები. მასწავლებლებისათვის გამოყოფილია კეთილმოწყობილი სამუშაო ოთახები. ამგვარი განლაგება ხელს უწყობს ძირითადი პროცესების ეფექტურად წარმართვას. ბიბლიოთეკა განთავსებულია ნათელ ოთახში და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებ-გვერდზე ინსტიტუტში რეგისტრირებული ყველა პირისთვის. დაწესებულებას ჰყავს საბიბლიოთეკო საქმეზე პასუხიმგებელი ბიბლიოთეკარი, რომელიც ახორციელებს სტუდენტებისა და პერსონალის უზრუნველყოფას საბიბლიოთეკო სერვისებით და სამუშაო პროცესს ახორციელებს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის მიხედვით. დაწესებულების მიერ დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი წესრიგის დაცვისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2022 წლის 13 ოქტომბრის N01-22/285 ბრძანებით). დოკუმენტის შესაბამისად უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფ თანამშრომელს, სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს ან/და უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფ სხვა პირს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს მიმართონ სამედიცინო ნორმების პასუხისმგებელ პირს, მიიღონ შესაბამისი კონსულტაცია ან პირველადი გადაუდებელი დახმარება.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულება აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა არის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი და უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა

უზრუნველყოფს ინტერნეტ რესურსების უწყვეტ მიწოდებას დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, ბიბლიოთეკასა და სასწავლო აუდიტორიებში. დაწესებულებაში მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია უსადენო ინტერნეტი (Wi-Fi). სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახები მარაგდება ქსელური ინტერნეტით. დაწესებულებაში ფუნქციონირებს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამართულ მუშაობასა და შესაბამისი სერვისების გაწევაზე. ინტერნეტ მომსახურებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება გაფორმებულია სს სილქნეტთან.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვა ხორციელდება ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2024 წლის 8 მაისის №01-24/161 ბრძანებით) შესაბამისად. ელექტრონული სერვისების რისკები დაკავშირებულია მონაცემთა დაკარგვასთან/დაზიანებასთან, კონფიდენციალურობის დარღვევასთან, უნებართვო შეღწევასთან და სერვისის მიწოდების წყვეტასთან, რომლის შემცირების მიზნით უნივერსიტეტში მიმდინარეობს მონაცემთა სარეზერვო ასლების წარმოება, (ყოველდღიურად და ყოველკვირეულად). რისკების შესამცირებლად კოლეჯის ქსელი დაყოფილია რამდენიმე ვირტუალურ ქსელად. ასევე გამიჯნულია უსადენო ინტერნეტ კავშირიც, სტუდენტებისთვის და გარეშე პირებისთვის, რომელსაც შიდა რესურსებთან წვდომა აკრძალული აქვს. კომპიუტერულ კლასებში არსებული კომპიუტერები ჩართულია დომენურ ქსელში და იმართება ცენტრალიზებულად. კოლეჯში არსებულ თითოეული კომპიუტერი დაცულია შიდა ანტივირუსით. უნივერსიტეტის მფლობელობაში/ საკუთრებაში აქვს ორი ფიზიკური სერვერი. რომლებიც უზრუნველყოფენ ქსელის გამართულ და უწყვეტ ფუნქციონირებას. ასევე დაწესებულება მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობს „გრენა“-სგან ვირტუალური სერვერებით. აღნიშნულ სერვერებზე განთავსებულია მონაცემთა ბაზა „PORTAL.GIPA.GE“, ფინანსური წარმოების სისტემა „ORIS Manager“, „ASSETS.GIPA.GE“ ლოგისტიკის სამართავი პროგრამა, უნივერისტეტის საჯაროდ გამოქვეყნებული ვებ გვერდები, ელექტრონული სერვისები (koha, moodle, eduroam, და სხვა).

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით მოქმედებს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შედგენილი ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია პერსონალური მონაცემების დაცვის მთავარი ასპექტები, როგორიცაა მონაცემების დამუშავება, დამუშავებული ინფორმაციის მიზნობრიობა, მონაცემების წვდომაზე უფლებამოსილება, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესები, პროფესიული სტუდენტების ბაზის ადმინისტრირება, ვიდეოკონტროლისა და აუდიოკონტროლის განხორციელება, ელ-ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენება, მონაცემთა სუბიექტის უფლებები და სხვა. ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის მუდმივად ხელმისაწვდომია IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. ადმინისტრაციული სივრცეები, სამუშაო ოთახები, ბიბლიოთეკა აღჭურვილია ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით. სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია პრინტერის აპარატი და უწყვეტი WI-FI სერვისი. დაწესებულების შინაგანაწესის დოკუმენტის თანახმად საჭიროების შემთხვევაში ინსტიტუტი უზრუნველყოფს პერსონალის და სტუდენტისთვის კომპიუტერული ტექნიკის დროებით სარგებლობაში გადაცემას.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში საქმისწარმოება, მისი შინაარსის გათვალისწინებით, ხორციელდება ელექტრონულად, პროგრამული უზრუნველყოფის

დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (eDocument) მეშვეობით, ასევე სტუდენტთა განცხადებების/ცნობების მომზადებასთან/გაცემასთან დაკავშირებით საქმისწარმოება ხორციელდება უნივერსიტეტის ელექტრონულ მონაცემთა ბაზის (PORTAL.GIPA.GE) მეშვეობით. დაწესებულებაში აქტიურად გამოიყენება კორპორაციული/ სტუდენტური ელექტრონული ფოსტა კომუნიკაციისა და დოკუმენტების მიმოცვლისათვის. გასული და შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვისას ხდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება: თითოეული წერილი ელექტრონულ ფორმატში კონვერტირდება და ელექტრონულ ჟურნალში ტარდება, მატერიალურთან ერთად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ენერგომენეჯმენტი“

ექსპერტის განცხადებით, უნივერსიტეტს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, გამოყოფილი აქვს მატერიალური და ფინანსური რესურსები, ჰყავს შესაბამისი დარგის სპეციალისტები და პრაქტიკული საკითხების სრულყოფილად ათვისების მიზნით თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან, კერძოდ: შპს “ოპტიმალ გრუპი +”; შპს “ექსპერტს ფორ სოლუშენს”; შპს “სიბიდი დეველოპმენტი”; შპს “საქართველოს ტელერადიოცენტრი”; შპს “ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი”; სს “კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯია”; შპს „ბლაუენშტაინ საქართველო“; შპს „აჩინებული“; შპს „წინანდლის ძველი მარანი“. პროგრამის განხორციელებისათვის უზრუნველყოფილია შესაბამისი A, B და C სასწავლო გარემო შესაბამისი ინვენტარითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რომელიც ადეკვატურია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან და უზრუნველყოფს მათთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებას.

ექსპერტის განცხადებით, პროგრამაში ჩართულია 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა დატვირთვა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, ხოლო უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულება უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილება შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებლ მოდულებს, მათი პირადი საქმეებით დასტურდება შესაბამისი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევებისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები. შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლეებლებს აქვთ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და მათი შეფასების კომპეტენცია. გარდა ამისა, უნივერსიტეტი თავის მხრივ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების პერიოდულ გადამზადებას სწავლება-სწავლის მეთოდების, სტუდენტის შეფასებისა და სხვა რელევანტური მიმართულებებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, რომლებიც ამავდროულად პროგრამაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები არიან. მათი ცოდნა და გამოცდილება დასტურდება, როგორც კვალიფიკაციითა და გამოცდილებით, ასევე ვიზიტის დროს გასაუბრებით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა პროფესიულ სტუდენტებს უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო რესურსითა და ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით. მოდულებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება შესაბამის პროფესიული პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა და საგანმანათლებლო პროცესში შეუფერხებლად ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხები. სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენისა და მათზე მორგებული სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით, უნივერსიტეტში ასევე

წარმოდგენილია ინკლუზიის კოორდინატორი, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს პროგრამის ხელმძღვანელთან და სასწავლო პროცესში ჩართულ პირებთან. ასევე, ინკლუზიური გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტი თანამშრომლობის შესაბამისი მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებთან/ექსპერტებთან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ტრენინგის ან სამუშაო შეხვედრების ფარგლებში უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის პერსონალის გადამზადებას.. ამასთან, ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფის მიზნით GIPA-ში სასწავლო ლიტერატურა ხელმისაწვდომია, როგორც ბეჭდურად, ასევე ელექტრონული ვერსიებით. პროგრამის ფუნქციონირება დაგეგმილია თანადაფინანსებით, რაც განხორციელდება სწავლის გადასახადისა და სახელმწიფო ვაუჩერის მეშვეობით. პროგრამის ბიუჯეტი გამჭვირვალეა და მასში გათვალისწინებულია პროგრამის მოსალოდნელი შემოსავალი, რომელზე დაყრდნობითაც ხორციელდება დაგეგმილი ხარჯების დაანგარიშება. ბიუჯეტი ყოველთვის არის დაბალანსებული, რაც ეფუძნება პროგრამის სტაბილურობას და ხარჯების გონივრულ გაწერას.

ექსპერტის განცხადებით, "ენერგომენეჯმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შედგენილია სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმები შედგენილია თანმიმდევრულად, დაცულია ლოგიკურობა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმის შესადგენად გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება პრეზენტაციები, ვიზუალური თანამედროვე მასალები და მეთოდები, კერძოდ, დაწესებულებაში სწავლება მიმართულია პროფესიული სტუდენტებისათვის ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარებისკენ. სწავლება ხდება მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, სადაც პროფესიული მასწავლებელი ორიენტირებულია სტუდენტის ინტერესებზე. ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების შემთხვევაში შემხვედრი ღონისძიებების გატარებას. სტუდენტების საჭიროებების მიხედვით დგება სასწავლო გეგმა ან კონკრეტული მოდულის სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომით განხორციელება. მათი ინფორმაციით სწავლის დრო მორგებულია სტუდენტებისთვის მისაღებ დროზე და არ არის შეზღუდული სამუშაო საათები, დაწესებულებას სპეციალური შიდა ელექტრონული პროგრამის portal.gipa.ge საშუალებით აქვს შესაძლებლობა დააფიქსიროს პროფესიულ სტუდენტთა დასწრების მაჩვენებელი, 33 % იანი გაცდენა იწვევს სტუდენტის მიერ მოდულის ხელმეორედ გავლის ვალდებულებას.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა "ენერგომენეჯმენტი“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს. სწავლების შედეგების მიღწევა დაგეგმილია დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტებზე, რეალურ სამუშაო გარემოში. დაგეგმილია დაწესებულების შენობაში. სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი 6 ორგანიზაციასთან 24 -24 სტუდენტზე (ერთდროულად არაუმეტეს 12 - ისა, წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, რაზედაც დამატებით გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება) პრაქტიკის ხელშეკრულებაში განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების სხვა პირობები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, ექსპერტის ჩანაწერის თანახმად, პროგრამის ფუნქციონირება დაგეგმილია თანადაფინანსებით, რაც განხორციელდება სახელმწიფო ვაუჩერისა და სწავლის გადასახადის მეშვეობით, უნდა გადაიხადოს თუ არა სტუდენტმა აღნიშნული სწავლის საფასური.

ექსპერტის განმარტებით, ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს აქვს ასეთი მიდგომა, რომ სწავლის უმეტესი ნაწილი იფარება როგორც სახელმწიფო ვაუჩერით, ასევე სტუდენტების მიერ თანხის ორ წელზე გადანაწილებით. დაწესებულების განმარტების თანახმად, სტუდენტების დაინტერესებას პროფესიული პროგრამების მიმართ არ განსაზღვრავს მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება, შეიძლება ითქვას, რომ მცირედი გადასახადი მათთვის ერთგვარი სწავლის მოტივაციაა.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, პროფესიული პროგრამები: "ენერგომენეჯმენტი" და "განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი" სარგებლობს ვაუჩერული დაფინანსებით ისევე, როგორც „შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ უმაღლესი პროფესიული პროგრამა, მაგრამ ვინაიდან ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი არის კომერციული ინსტიტუცია, სტუდენტები დამატებითაც იხდიან სწავლის საფასურს. ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე თითო პროგრამაზე გადასახადი სტუდენტის მხრიდან ჯერ შეადგენდა ორი ათას ლარს, ხოლო შემდეგ გახდა ათასი ლარი. აღნიშნული დროისთვის დაწესებულებამ გადაწყვიტა, რომ ორივე ზემოაღნიშნულ უმაღლეს პროფესიულ პროგრამაზე სტუდენტის თანადაფინანსება იქნება წელიწადში ხუთასი ლარი, შესაბამისად ორ წლიან პროგრამაზე გადასახადი გამოდის ათასი ლარი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, აქვს თუ არა დაწესებულებას რენტაბელობის ზღვარი გათვლილი.

ექსპერტის განმარტებით, მოცემული საკითხი ეხება ფართის ცვლილებას, თუმცა ძირითადი ვიზიტის დროს მათ მოინახულეს პრაქტიკის ობიექტებიც. აგრეთვე გადახედეს ხელშეკრულებებსაც, რის თანახმადაც მოხდებოდა სტუდენტების ტრანსპორტირება და საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფა. შესაბამისად, ამჟამინდელი წარმოების ფარგლებში მსგავსი კითხვის დასმის საჭიროება არ ყოფილა, წინა ძირითადი ვიზიტისგან განსხვავებით. ამჟამად 32 სტუდენტია ჩარიცხული და რენტაბელობის ზღვარს საფრთხე არ ემუქრება, რადგან არაფერი შეცვლილა, დაწესებულებამ მხოლოდ ზღვრული რაოდენობის მეთოდოლოგია განაახლა.

საბჭოს წევრმა მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, დასკვნის თანახმად, თუკი სტუდენტი ვერ მოახერხებს მოდულის დაძლევას სხვადასხვა მიზეზების გამო, იგი იხდის დამატებით საფასურს და თავიდან გაივლის აღნიშნულ მოდულს, რა ეტაპზე ხდება სტუდენტების ინფორმირება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.
დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, როდესაც ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში პროფესიული სტუდენტები ირიცხებიან, მათ ენიშნებათ შეხვედრა პროგრამების კოორდინატორებთან და ხელმძღვანელებთან, რომლებიც სტუდენტებს აცნობენ დაწესებულებაში მოქმედ რეგულაციებს და სასწავლო პროცესის წესებს. გარდა ამისა, ინფორმაციას აწოდებენ სხვადასხვა პროცედურებთან დაკავშირებით, მოიაზრება, როგორც დაწესებულების, ასევე, სტუდენტის ვალდებულებები და სხვა. აღნიშნულში შედის მოდულის დადასტურებაც. აგრეთვე, დაწესებულებასა და სტუდენტებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია ყველა მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის მითითებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტებიც. ასე, რომ სტუდენტები სწავლის დაწყებისთანავე ბოლომდე ინფორმირებულები არიან ყველა ზემოთხსენებულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, რა მექანიზმები აქვს დაწესებულებას შემუშავებული, რათა თანადაფინანსების მოდელმა არ შეუქმნას ბარიერი სხვადასხვა სტატუსის მქონე სტუდენტებს, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველებს.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, მარეგულირებელი წესის მიხედვით, რა თქმა უნდა, დაწესებულება აკეთებს შეღავათებს, რაც მოიაზრებს სხვადასხვა მიმართულების სტატუსებს: სოციალურად დაუცველი, მაღალმთიანი რეგიონის წარმომადგენელი, იძულებით გადაადგილებული პირი, მრავალშვილიანები და სხვა. აღნიშნული მექანიზმი მუშაობს და სტუდენტებიც არიან ინფორმირებულები მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ასევე, შეღავათი შეიძლება გაკეთდეს ინდივიდუალური განხილვის საფუძველზე განცხადების საშუალებით, რასაც განმარტავს მარეგულირებელი წესი. აქედან გამომდინარე დაწესებულებას მიაჩნია, რომ უმჯობესია სტუდენტებმა განათლებაში დახარჯონ სიმბოლური თანხა, ვინაიდან განათლებაც არის ერთგვარი ბიზნესი. გარდა ამისა, სტუდენტებს აუმაღლდებათ სწავლის მოტივაცია. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ხდება ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე. თუ ბაზარი გაჩერდება, მოთხოვნა შემცირდება და დაწესებულების ფინანსური მხარე დაზარალდება, მოცემული შემთხვევისათვის შეფასებულია გადახდისუნარიანობა თითოეულ პროგრამაზე მიღებულია 32 სტუდენტი და შეღავათებიც არის გაკეთებული, რადგან არიან, როგორც მრავალშვილიანი, ასევე, სოციალურად დაუცველი სტუდენტებიც. მათგან ზოგიერთს გაუნახევრდა, ზოგიერთს კი მთლიანად მოეხსნა გადასახადი. აქამდე დაწესებულებას არასდროს ჰქონია შეფერხება აღნიშნული თანხის გადახდასთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გარდა პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისა, თანადაფინანსების თაობაზე აპლიკანტები - პოტენციური სტუდენტებიც ინფორმირებულები არიან, ვინაიდან საერთო საუნივერსიტეტო კამპანიებშიც მიმდინარეობს პროფესიული პროგრამების პიარი ჯიპას მიერ თუნდაც ბუკლეტების საშუალებით, სადაც გაწერილია ინფორმაცია თანადაფინანსებასა და მის რაოდენობაზე.

საბჭოს წევრმა მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, მოცემული დროისთვის რამდენად შეძლეს სტუდენტებმა სწავლის შედეგების დაძლევა, აქვს თუ არა დაწესებულებას სტატისტიკური მონაცემები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ერთი მოდულის დაუძლევლობის შემთხვევაში სტუდენტს სტატუსი არ უჩერდება, იგი დაწესებულების მხრიდან სარგებლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენით და სწავლის მომდევნო წელს შეუძლია გაიაროს აღნიშნული მოდული სტუდენტების ახალ ნაკადთან ერთად, რადგან "ენერგომენეჯმენტისა" და "განახლებადი ენერგიების მენეჯმენტის" პროფესიულ პროგრამებს წინაპირობები არ გააჩნია. თუ სტუდენტს არ აქვს აკადემიური მოსწრება, მაშინ დაწესებულება იღებს შესაბამის ზომებს, უკავშირდება სტუდენტს და უკუკავშირის არ არსებობის შემთხვევაში შეიძლება დადგეს სტუდენტის სტატუსის შეჩერების საკითხი, თუმცა აღნიშნულ პროგრამებზე ჯერ მსგავსი შემთხვევები არ ყოფილა. რაც შეეხება სტატისტიკას, სტუდენტებმა გაიარეს უკვე 4 ან 5 მოდული და ყველა მათგანს დაუდასტურდა სწავლის შედეგები, ზოგიერთ მათგანს აქვს გადაბარება. პირველ ჯერზე გადაბარება უფასოა, მაგრამ შემდეგ უკვე ფასიანი. აღნიშნულ შემთხვევაში, დაწესებულების მარეგულირებელი წესების თანახმად, სტუდენტმა უნდა გადაიხადოს დასადასტურებელი მოდულის ღირებულება და თავიდან გაიაროს აღნიშნული მოდული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, მესამე საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების ამოქმედების თარიღად განსაზღვრულიყო სხდომის თარიღი 2025 წლის 26 მარტი, რამდენადაც ავტორიზაციის საბჭოს ახალი შემადგენლობის თაობაზე პრემიერ-მინისტრის ბრძანება გამოიცა 2025 წლის 21 თებერვალს, დაგვიანდა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დასრულებული წარმოებების დასკვნების საბჭოს სხდომაზე განხილვა, რის გამოც დაირღვა ადგილის/ფართის ცვლილების ადმინისტრაციული წარმოებისთვის დადგენილი 90 დღიანი ვადა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "ენერგომენეჯმენტი" ადგილის/ ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის(ს/კ: 204429341) "ენერგომენეჯმენტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2025 წლის 26 მარტი **(დანართი 2).**

მესამე საკითხი: ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი" ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

თვითაცილების თაობაზე განაცხადა საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაშვილმა. მისი თქმით, აღნიშნულ დაწესებულებაში მან ჩაატარა ტრენინგი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მესამე საკითხზე დაფიქსირებული საბჭოს წევრის პოზიცია არ არის თვითაცილების საფუძველი, რადგან მის ხელთ არსებული ინფორმაციით საბჭოს წევრს ზემოაღნიშნული ჩატარებული ტრენინგებისთვის დაწესებულებისგან ანაზღაურება არ მიუღია. ამდენად, თავმჯდომარეს არ მიაჩნია მიზანშეწონილად, განხილულ იქნას საბჭოს წევრის თვითაცილების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლევან მადათოვი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 16 იანვრის №19811 ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 4 თებერვალს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №22ა) „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების „ბ.ბ“ და „ბ.დ“ კომპონენტების, აგრეთვე „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების „ე.ა“ და „ე.ბ“ კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და პროფესიულ სტუდენტებთან. შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წინასწარ და ვიზიტის პერიოდში მოწოდებული ინფორმაცია. ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 26 აგვისტოს №1015168 გადაწყვეტილებით მიენიჭა „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 96 სტუდენტით, მისამართზე ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №101.

მიმდინარე წარმოება ეხებოდა პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილებას,პროგრამა ხორციელდება მისამართზე ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №22ა.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება
შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსი
ექსპერტის განცხადებით, ა(ა)იპ - ჯიპას მფლობელობაში არსებული ფართის მეორე სართულზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილია A გარემო - 1, AC გარემო - 1 №215), B გარემო - 1 (№207). გარდა ამისა, ფართში ასევე განლაგებულია ფოიეები, სტუდენტთა მოსასვენებელი/სარეკრეაციო/სამუშაო სივრცეები, სანიტარული კვანძები (მათ შორის ადაპტირებული), პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი, ბიბლიოთეკა, შეხვედრების ოთახები, ადმინისტრაციული სივრცეები, არქივი. შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით, ხელოვნური და ბუნებრივი განათებით, სველი წერტილებით, პანდუსებით, ლიფტით, უწყვეტი ინტერნეტით. სასწავლო აუდიტორიები და ზემოაღნიშნული ფართები აღჭურვილია საჭირო ავეჯით, მატერიალურ - ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს მათ დანიშნულების შესაბამის ფუნქციონირებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სასაქონლო ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტები, საგადასახდო დავალებები, ინვენტარიზაციის აქტი. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის დოკუმენტში დაწესებულების მიერ გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა მიერ მატერიალური რესურსებით სარგებლობის უფლებისა და წესების შესახებ. აღნიშნულის თანახმად მათ უფლება აქვთ ისარგებლონ საგანმანათლებლო და დამხმარე რესურსით. ექპერტთა ჯგუფის მიერ სივრცეების ფიზიკური დათვალიერების დროს დადასტურდა, რომ სტუდენტები აქტიურად იყენებენ ბიბლიოთეკას, სამუშაო და სამეცადინო სივრცეებს, მათთვის გამოყოფილ კომპიუტერებს და სხვა. დაწესებულებას შინაგანაწესის შესაბამისად გაწერილი აქვს, რომ „უნივერსიტეტი საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, თავისი მატერიალურ ტექნიკური რესურსის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, თავის საკუთრებაში არსებულ ტექნიკურ საშუალებებს დროებით სარგებლობაში გადასცემს სტუდენტებს/პროფესიულ სტუდენტებსა და მსმენელებს.“ მათ მიერ მტკიცებულებად იქნა წარმოდგენილი სტუდენტისთვის სხვადასხვა მატერიალური რესურსის (მაგ. ლეპტოპი, პროექტორი და სხვა) დროებით სარგებლობაში გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტები. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელდა დაწესებულების შენობებში ცენტრალური გათბობის სისტემების ვიზუალური და ფაქტობრივი დათვალიერება (ვიზიტის მიმდინარეობისას სისტემა ყველა სივრცეში იყო ჩართული და გამართულად მუშაობდა). აღნიშნულის ფუნქციონირება ასევე დასტურდება პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით და კომუნალური გადახდის ქვითრებით. დაწესებულებაში არსებობს გამიჯნული (ქალის ცალკე, კაცის ცალკე) სანიტარული კვანძები, რომელიც უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, ვენტილაციის საშუალებით, პირადი ჰიგიენის საშუალებებით. შშმ პირებისთვის ხელმისაწვდომია ადაპტირებული სანიტარული კვანძები.

ექსპერტის განცხადებით, შინაგანაწესის დოკუმენტში გაწერილია მატერიალური რესურსის განკარგვისა და წარმოქმნილი ნარჩენების მართვის წესები. მუხლი 5. მატერიალური რესურსით/მასალებით უზრუნველყოფის წესის თანახმად „კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შეძენა ხორციელდება, ამავე საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელისადმი/კანცლერისადმი წარდგენილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. მატერიალური რესურსის გაცემის ფაქტი აღირიცხება ელექტრონულად ლოგისტიკის

სამსახურის მიერ, სადაც აღინიშნება გაცემული მასალის დასახელება, მასალის რაოდენობა, გაცემის თარიღი და მიმღები პირი. მოთხოვნილი მატერიალური რესურსის ჩაბარების ფაქტს ხელმოწერით ადასტურებს მოთხოვნის წარმდგენი/მიმღები პირი. დაწესებულებაში არსებულ სასწავლო და ადმინისტრაციულ სივრცეებს, ბიბლიოთეკას, შეხვედრების ოთახებსა და საგამოცდო სივრცეებს აქვს, როგორც ბუნებრივი ასევე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. გარდა ამისა, დაწესებულებას გამიჯნული და იზოლირებული აქვს ადმინისტრაციული, სასწავლო, სამუშაო, რეკრეაციული სივრცეები. მასწავლებლებისათვის გამოყოფილია კეთილმოწყობილი სამუშაო ოთახები. ამგვარი განლაგება ხელს უწყობს ძირითადი პროცესების ეფექტურად წარმართვას. ბიბლიოთეკა განთავსებულია ნათელ ოთახში და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებ-გვერდზე ინსტიტუტში რეგისტრირებული ყველა პირისთვის. დაწესებულებას ჰყავს საბიბლიოთეკო საქმეზე პასუხიმგებელი ბიბლიოთეკარი, რომელიც ახორციელებს სტუდენტებისა და პერსონალის უზრუნველყოფას საბიბლიოთეკო სერვისებით და სამუშაო პროცესს ახორციელებს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის მიხედვით. არსებული მატერიალური საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. საგანმანათლებლო რესურსი აღრიცხულია საინვენტარო წიგნში, რომელიც დამუშავებულია საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად. დაწესებულება აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა არის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი და უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. ა(ა)იპ ჯიპაში შექმნილი IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინტერნეტ რესურსების უწყვეტ მიწოდებას დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, ბიბლიოთეკასა და სასწავლო აუდიტორიებში. დაწესებულებაში მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია უსადენო ინტერნეტი (Wi-Fi). სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახები მარაგდება ქსელური ინტერნეტით. დაწესებულებაში ფუნქციონირებს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამართულ მუშაობასა და შესაბამისი სერვისების გაწევაზე. ინტერნეტ მომსახურებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება გაფორმებულია სს სილქნეტთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი"

ექსპერტის განცხადებით, უნივერსიტეტს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, გამოყოფილი აქვს მატერიალური და ფინანსური რესურსები, მოძიებული ჰყავს შესაბამისი დარგის სპეციალისტები და პრაქტიკული საკითხების სრულყოფილად ათვისების მიზნით თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან, კერძოდ: შპს "აჭარისწყალი ჯორჯია"; შპს "ესკო-ეს-ის"; სს "საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები" პროგრამის განხორციელებისათვის უზრუნველყოფილია შესაბამისი A, B და C სასწავლო გარემო შესაბამისი ინვენტარითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რომელიც ადეკვატურია პროფესიულ პროგრამაზე დაგეგმილ მისაღებ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან და უზრუნველყოფს მათთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებას. პროგრამაში ჩართულია 32 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა დატვირთვა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, ხოლო უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულება უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამის განხორციელების მდგრადობას. აღნიშნული პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათი გამოცდილება და კომპეტენცია დასტურდება როგორც პირადი საქმეების შესწავლით ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუირებით. პროფესიული პროგრამის განხორციელებაში ჩართული

პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილება შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებლ მოდულებს, მათი პირადი საქმეებით დასტურდება შესაბამისი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევებისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები. შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლეებლებს აქვთ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და მათი შეფასების კომპეტენცია. გარდა ამისა, უნივერსიტეტი თავის მხრივ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების პერიოდულ გადამზადებას სწავლება-სწავლის მეთოდების, სტუდენტის შეფასებისა და სხვა რელევანტური მიმართულებებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, რომლებიც ამავდროულად პროგრამაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები არიან. მათი ცოდნა და გამოცდილება დასტურდება როგორც კვალიფიკაციითა და გამოცდილებით, ასევე ვიზიტის დროს გასაუბრებით.

ექსპერტის განცხადებით, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა პროფესიულ სტუდენტებს უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო რესურსითა და ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით. მოდულებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება შესაბამის პროფესიული პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. ბიბლიოთეკით სარგებლობასთან დაკავშირებით უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია საბიბლიოთეკო რესურსის გაცნობის, გატანის, უკან დაბრუნების და სხვა საკითხები. უნივერსიტეტი ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვასა და მათთვის სწავლის სათანადო პირობების შექმნაზე. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა და საგანმანათლებლო პროცესში შეუფერხებლად ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხები. სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენისა და მათზე მორგებული სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით, უნივერსიტეტში ასევე წარმოდგენილია ინკლუზიის კოორდინატორი, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს პროგრამის ხელმძღვანელთან და სასწავლო პროცესში ჩართულ პირებთან. ასევე, ინკლუზიური გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტი თანამშრომლობის შესაბამისი მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებთან/ექსპერტებთან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ტრენინგის ან სამუშაო შეხვედრების ფარგლებში უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის პერსონალის გადამზადებას.. ამასთან, ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფის მიზნით GIPA-ში სასწავლო ლიტერატურა ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდურად, ასევე ელექტრონული ვერსიებით. უნივერსიტეტში ძირითადი შემოსავალი მთლიანად იხარჯება საგანმანათლებლო მიზნებისათვის. უნივერსიტეტის შემოსავლის ძირითადი წყაროებია სწავლის საფასურები, გრანტები და სხვა შემოსავლები, მათ შორის შემოსავლები საკონსულტაციო და კორპორატიული ტრენინგებიდან, იჯარებიდან. პროგრამის ფუნქციონირება დაგეგმილია თანადაფინანსებით, რაც განხორციელდება სწავლის გადასახადისა და სახელმწიფო ვაუჩერის მეშვეობით. პროგრამის ბიუჯეტი გამჭვირვალეა და მასში გათვალისწინებულია პროგრამის მოსალოდნელი შემოსავალი, რომელზე დაყრდნობითაც ხორციელდება დაგეგმილი ხარჯების დაანგარიშება. ბიუჯეტი ყოველთვის არის დაბალანსებული, რაც ეფუძნება პროგრამის სტაბილურობას და ხარჯების გონივრულ გაწერას. ,,განახლებადი ენერგიების მენეჯმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შედგენილია სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმები შედგენილია თანმიმდევრულად, დაცულია ლოგიკურობა და პროფესიული სტუდენტის კვირეული

დატვირთვა. სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა.

ექსპერტის განცხადებით, ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების შემთხვევაში შემხვედრი ღონისძიებების გატარებას. პროგრამის ხელმძღვანელთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტუდენტების საჭიროებების მიხედვით დგება სასწავლო გეგმა ან კონკრეტული მოდულის სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომით განხორციელება. მათი ინფორმაციით სწავლის დრო მორგებულია სტუდენტებისთვის მისაღებ დროზე და არ არის შეზღუდული სამუშაო საათები, დაწესებულებას სპეციალური შიდა ელექტრონული პროგრამის portal.gipa.ge საშუალებით აქვს შესაძლებლობა დააფიქსიროს პროფესიულ სტუდენტთა დასწრების მაჩვენებელი, 33 % იანი გაცდენა იწვევს სტუდენტის მიერ მოდულის ხელმეორედ გავლის ვალდებულებას. სწავლის შედეგების მიღწევა ხორციელდება მოდულში არსებული ჩანაწერების შესაბამისად. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა ,განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს. სწავლების შედეგების მიღწევა დაგეგმილია დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტებზე, რეალურ სამუშაო გარემოში. დაგეგმილია დაწესებულების შენობაში. სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი 3 ორგანიზაციასთან 24-24 სტუდენტზე (ერთდროულად არაუმეტეს 12 - ისა, წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, რაზედაც დამატებით გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება) ზემოაღნიშნული დასტურდება ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გასაუბრებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს გაწეული თანამშრომლობისთვის.

სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, მესამე საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების ამოქმედების თარიღად განსაზღვრულიყო სხდომის თარიღი 2025 წლის 26 მარტი, რამდენადაც ავტორიზაციის საბჭოს ახალი შემადგენლობის თაობაზე პრემიერ-მინისტრის ბრძანება გამოიცა 2025 წლის 21 თებერვალს, დაგვიანდა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დასრულებული წარმოებების დასკვნების საბჭოს სხდომაზე განხილვა, რის გამოც დაირღვა ადგილის/ფართის ცვლილების ადმინისტრაციული წარმოებისთვის დადგენილი 90 დღიანი ვადა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ ადგილის/ ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის(ს/კ: 204429341) "განახლებადი ენერგიების მენეჯმენტის"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2025 წლის 26 მარტი **(დანართი 3).**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 14:55 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

დანართი

პროგრამის სახელწოდება	ენერგომენეჯმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ენერგომენეჯმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი. N22ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	96
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

დანართი

პროგრამის სახელწოდება	განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია განახლებადი ენერგიების მენეჯმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N22ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	96
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146